თბილისის მე-3 ტრიენალე/3rd Tbilisi Triennial

01/10-01.11/2018

"თანამედროვე ხელოვნების ცენტრი-თბილისი"-ს (CCA-T) ორგანიზებით 2018 წლის 1 ოქტომბრიდან 1 ნოემბრის ჩათვლით იმართება **თბილისის მე-3 ტრიენალე**, რომლის მთავარი თემაა "**ნება**".

თბილისის ტრიენალე 3 წელიწადში ერთხელ ტარდება, რაც მნიშნელოვანი ფაქტია არა მარტო ქართული თანამედროვე სახელოვნებო სივრცისთვის, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. 2012 და 2015 წლებში ჩატარებული ღონისძიებების შემდეგ ტრიენალემ მსოფლიო მასშტაბის კულტურული მოვლენის სახელი დაიმკვირდა, რაზეც მასში მონაწილე ბევრი ქვეყანა მეტყველებს.

2018 წლის თბილისის ტრიენალს ფარგლებში ერთ-ერთი გამორჩეული პროექტია ლესლი ჯონსონის და ჟოზეფინა ფოშის პირველი კოლაბორაციული სახელოვნებო პროექტი/ინსტალაცია "ენერგიის მეტამორფოზი", რომელიც ქ. გორში მზისა და ქარის ენერგიის გამომუშავების სამომავლო პოტენციალსა და განვითარებას უკავშირდება.

პროექტის მხარდამჭერია შვედეთის საელჩო საქართველოში.

ინსტალაციის შესახებ

4 ოქტომბერი/19:00 - „ენერგიის მეტამორფოზი" - **გორის ტროლეიბუსის სადგური/ი. ჭავჭავაძის 45/47**

გასვლა თბილისიდან: ვარდების მოედანი, 17:00 (წინასწარი ჩაწერა 4 ოქტომბრამდე- 555745799)

არტისტები ჯოზეფინა ფოში და ლესლი ჯონსონი მათ პირველ კოლაბორაციულ სახელოვნებო პროექტში გორის ტროლეიბუსების ტრანსფორმატორის სადგურს გააცოცხლებენ, როგორც ვაჭრობის ისტორიული მარშრუტებისა და ახალი ტექნოლოგიების

სიმბოლოს. შენობა ჩრდილისა და სინათლის სკულპტურული სანახაობა გახდება, რომელიც აბრეშუმის უძველესი გზის მზის მარშრუტად გადაქცევას გამოხატავს. ინსტალაცია „ენერგიის მეტამორფოზი“ ენერგოდამოუკიდებლობის თემას თბილისისა და გორის პარალელურ სივრცეებში წარმოადგენს, რომლის მთავარი მიზანი საზოგადოებაში ცვლილებების და ტრანფორმაციის ინიცირება და გორის სამომავლო პოტენციალის შესახებ საჯარო დისკუსიის წამოწყებაა.

ლესლი ჯონსონი (შვედეთი/აშშ) ცნობილია ნაშრომებით, რომლებიც ღირებულებათა სისტემებზე იუმორისა და რეფლექსიის გადაკვეთას წარმოადგენენ. მისი ბოლოდროინდელი გამოფენები გეტებორგში (შვედეთი) და ბანგალორში (ინდოეთი) გაიმართა. ჯონსონი გეტებორგის უნივერსიტეტის პროფესორი და მკვლევარია.

ჯოზეფინა ფოში საერთაშორისოდ მოქმედი, გეტებორგში (შვედეთი) მცხოვრები არტისტია. მისი ნაშრომები სკულპტურას, ციფრულ მედიასა და სოციალურად დაკავშირებულ სამუშაოს შორის სივრცეს იკავებს. ისინი კონცენტრირებულია ტექნოლოგიის, ბიოლოგიის, იდეებისა და მხატვრული შემოქმედების ირგვლივ. ფოში მუშაობს როგორც კურატორი, ის ასევე გეტებორგის უნივერსიტეტის ლექტორი და მკვლევარია.

პროექტის მხარდამჭერია შვედეთის საელჩო საქართველოში.

Sweden/შვედეთი

Sverige

საკონტაქტო პირი - მარიკა ჯაბუა - 593 567 445 /marikajabua@gmail.com

(ინფორმაცია ტრიენალეს პროგრამის და კონცეფციის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ - http://cca.ge/node/172)